პ რ ო ე ქ ტ ი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

2022 წლის ---- ივლისი

ქ. წყალტუბო

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანების“ წესდებაში ცვლილების შეტანისა და წესდების ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-482220674; 25/07/2022) წერილი, რომელშიც ითხოვს თანხმობას არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანების“ წესდებაში ცვლილების შეტანისა და წესდების ახალი რედაქციით დამტკიცების თაობაზე.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №42 დადგენილებით დამტკიცებული წესდების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ.ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანების” წესდებაში ცვლილების შეტანისა და წესდების ახალი რედაქციით დამტკიცების თაობაზე (დანართი თან ერთვის).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა

მეორადი სტრუქტურული ერთეულის

ხელმძღვანელი მ. ბერაძე

შეთანხმებულია

აპარატის უფროსი გ. თათარაშვილი

კომისიის თავმჯდომარე მ. ჭელიძე

საქართველო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-482220674**
თარიღი: **25/07/2022**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ ,

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ“ პუნქტის ,,დ.ბ.“ ქვეპუნქტის და ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №42 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ.ბ.“ ქვეპუნქტის თანახმად, გთხოვთ, თანხმობას არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანების'' წესდებაში ცვლილების შეტანისა და შესაბამისად წესდების ახალი რედაქციით დამტკიცების თაობაზე.

წესდებაში აღნიშნული ცვლილების შეტანა განპირობებულია წესდების მე-2 მუხლში ,,ლ“ ქვეპუნქტის ახალი რედაცქიით ჩამოყალიბებით.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის და ასევე კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საქართველოს წითელ წიგნში შეტანილი ხეების ჭრა საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება დასკვნის საფუძველზე. აღნიშნული დასკვნის დადება საჭიროებს სპეციალურ ცოდნას. ვინაიდან წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში არა გვყავს დასაქმებული აგრონომი, მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღნიშნული დასკვნის მომზადება საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანებამ.

დანართი ,,6“ ფურცლად.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge

დანართი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანების'' წესდება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანება“ (შემდგომში - ,,გაერთიანება“) არის კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

2. ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანების “ დამფუძნებელია წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდებაა ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანება“.

3. ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანება“ ხელმძღვანელობს საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“, „შრომის კოდექსის“, ამ წესდების და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4. ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანების “ იურიდიული მისამართია: ქ. წყალტუბო რუსთაველის ქუჩა N 25. ელექტრონული ფოსტა ketilmockobadasuptaveba@gmail.com

5. ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანებას“ აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, მრგვალი ბეჭედი, საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშები საბანკო დაწესებულებებში და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

მუხლი 2. გაერთიანების მიზნები, ამოცანები და ფუნქციები

1. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანების “ მიზნები და ამოცანებია:

ა) მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავება და კეთილმოწყობა. კომუნალური და კეთილმოწყობითი კომუნიკაციების მართვა–მოწესრიგება და აღდგენითი სამუშაოების ჩატარება.

ბ) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასმელი წყლის ქსელის, სანიაღვრე არხების გაწმენდა, მოვლა-პატრონობა და მათი სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, დაზიანების შემთხვევაში აღდგენითი სამუშაოების ჩატარება;

გ) ქუჩების დასუფთავება და ნარჩენების შეგროვება, ნაგვის შემკრები ბუნკერების დაცლა და შეგროვება, ნარჩენების გატანა სპეციალურად გამოყოფილ ნაგავსაყრელზე.

დ) ტერიტორიული ერთეულებისა და სოფლების ტერიტორიის დასუფთავება.

ე) ქალაქსა და საამისოდ განსაზღვრულ ტერიტორიებზე ნაგვის ბუნკერების განთავსება და მათი დეზინფექცია შესაბამისი წესების დაცვით.

ვ) ქუჩების სეზონური მორწყვა.

ზ) წყალარინების სისტემის მოწყობა, სანიაღვრე არხების მოვლა-პატრონობა,ცივი ტბისა და ცივი ტბისგან გამომდინარე არხების მოვლა–პატრონობა;

თ) ქუჩების, გაზონების კეთილმოწყობა და პირუტყვისაგან დაცვა.

ი) ხიდებისა და ტროტუარების მოვლა-პატრონობა.

კ) სკვერების და პარკების მოვლა-პატრონობა. მუნიციპალიტეტის განსაზღვრული ტერიტორიების გამწვანებაზე ზრუნვა, ხე-ნარგავების მოვლა-პატრონობა, ავარიული, სანიტარული და დეკორატიული ჭრის უზრუნველყოფა, შადრევან-აუზების მოვლა-პატრონობა, დაზიანების შემთხვევაში აღდგენითი სამუშაოების ჩატარება, პარკებში გაზონებსა და სკვერებში ყვავილების დარგვა და მოვლა;

ლ) წინადადებების მომზადება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ხე-ტყის მოვლა-პატრონობის შესახებ, ასევე საჭიროების შემთხვევაში დასკვნების მომზადება ხის ჭრასთან დაკავშირებით.

მ) საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოვლა-პატრონობა;

ნ) სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მოსახლეობის კანონიერი ინტერესების გათვალისწინებით. გზების პროფილის აღდგენითი და თოვლის, სტიქიური მოვლენის დროს გზის საფარის გაწმენდითი სამუშაოების განხორციელება;

ო) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შუქნიშნებისა და ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის მოვლა–პატრონობა;

პ) ღონისძიებების გატარება (მათ შორის ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის მოწყობა) კეთილმოწყობითი ობიექტების დაცვის, მოვლა-შენახვის უზრუნველსაყოფად;

ჟ) გარე განათების, დეკორატიული განათების, მხატვრული მინათების სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, საჭირო შემთხვევაში მწყობრიდან გამოსული ქსელების აღდგენითი, აგრეთვე ახალი ქსელების მოწყობითი სამუშაოების განხორციელება;

რ) წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოფნის აღკვეთა და ,,საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ ამართალდარღვევათა შესახებ ოქმის შედგენა

ს) გარემოსა და ბუნებათსარგებლობის, მრავალფეროვნების, გადაშენების საფრთხის წინაშე და იშვიათი სახეობის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების მიზნით სარგავი მასალის (ნერგის) გამოყვანის უზრუნველყოფა, საკუთარი და სხვა დაწესებულებათა საჭიროებისათვის და მათი რეალიზაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ტ) გაერთიანების მიზნების, ამოცანებისა და ფუნქციების განსახორციელებლად ავტოსატრანსპორტო და ტექნიკური საშუალებების შეძენის, მათი მოვლის, შენახვისა და ექსპლოატაციის უზრუნველყოფა;

უ) სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება, კორესპონდენციის, საჩივრებისა და მიმართვების განხილვა;

ფ) მისაწოდებელი ან/და მიწოდებული საქონლის, სამუშაოების, მომსახურების მოცულობის და მიწოდების ვადების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოთხოვნათა შესაბამისობის დადგენის შემდეგ მიღება- ჩაბარების აქტების გაფორმება;

ქ) წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ცენტრალურ პარკში და ,,ცივი ტბის“ მიმდებარე ტერიტორიაზე სხვადასხვა ცერემონიალის (ხელისმოწერა, ჯვრისწერა, დაბადების დღე) გამართვასთან დაკავშირებული მომსახურების საფასურის გადახდასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარება;

ღ) საქართველოს კანონმდებლობით, ამ წესდებით და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით დადგენილი სხვა ფუნქციების შესრულება.''

მუხლი.3 გაერთიანების სტრუქტურა და მართვა

1. გაერთიანებას ხელმძღვანელობს დირექტორი.

2. დირექტორის თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება. დირექტორს ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი;

3. გაერთიანების სტრუქტურა და სისტემა შედგება გაერთიანების დირექტორის, ადმინისტრაციის, გარე - განათების, გამწვანება-განაშენიანების, დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის, ცენტრალური პარკის ზედამხედველობის, წყალარინების სისტემისა და სანიაღვრე არხების მოვლა-პატრონობის უზურნველყოფის სერვისებისაგან.

4.წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი კანონმდებლობით დადგენილი წესით ამტკიცებს „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანების “ წესდებას, საშტატო ნუსხას, სახელფასო განაკვეთს, ხარჯთაღრიცხვას და ახორციელებს მათში ცვლილებების შეტანას.

5. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების “ დირექტორი:

ა) წარმართავს და ორგანიზებას უწევს „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანების “ საერთო საქმიანობას;

ბ) პასუხისმგებელია საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტურობაზე;

გ) კანონმდებლობის შესაბამისად განაგებს გაერთიანების ფინანსურ და მატერიალურ საშუალებებს, ეკისრება პერსონალური პასუხისმგებლობა გაერთიანების სარგებლობაში არსებულ ქონებაზე და ფულადი სახსრების მიზნობრივად და სწორად ხარჯვაზე;

დ) კომპეტენციის ფარგლებში დებს გარიგებებს და აფორმებს ხელშეკრულებებს, როგორც საქართველოს ასევე სხვა ქვეყნების ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან;

ე) საქართველოს შრომის კოდექსის თანახმად, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს გაერთიანების თანამშრომლებს, დებს შრომით ხელშეკრულებებს; კანონის ფარგლებში თანამშრომელთა მიმართ იღებს დისციპლინურ და წახალისების ზომებს;

ვ) უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოსცემს ბრძანებას, რომელიც მოქმედებს გაერთიანების ფარგლებში;

ზ) ანაწილებს ფუნქციებს და დავალებებს თანამშრომლებს შორის.

თ) შეიმუშავებს გეგმებს და ადგენს ანგარიშებს.

ი) განკარგავს თანხებს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად.

კ) წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს დასამტკიცებლად და/ან ცვლილების განსახორციელებლად წარუდგენს საშტატო ნუსხას, სახელფასო განაკვეთს და ხარჯთაღრიცხვას.

ლ) წარმოადგენს გაერთიანებას სხვა ორგანოებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან.

მ) ეკისრება გაერთიანების წარმომადგენლობა და პერსონალური პასუხისმგებლობა.

ნ) აგებს პასუხს გაერთიანების ფულადი სახსრების სწორად და მიზნობრივ ხარჯვაზე.

ო) წესდებით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად უფლებამოსილია განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას;

პ) ანგარიშვალდებულია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის წინაშე; გაერთიანების სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები, ანგარიშვალდებულია გაერთიანების დირექტორის წინაშე;

6. დირექტორს ჰყავს მოადგილე, რომელიც ასრულებს მის მოვალეობას არყოფნის შემთხვევაში.

7.დირექტორის წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის მერი.

მუხლი 4. მატერიალური ბაზა და ფინანსები

1. დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად გაერთიანებას გადაეცემა შესაბამისი ქონება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

2. გაერთიანების დაფინანსების წყაროებია:

ა) წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

გ) ამ მუხლით განსაზღვრული სახსრები კანონმდებლობის შესაბამისად ხმარდება მხოლოდ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანების" მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას, გაერთიანების სახსრების სხვა მიზნით გამოყენება დაუშვებელია;

3. გაერთიანება ვალდებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო - ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა - ანგარიშგება.

მუხლი 5. საქმიანობა, რომელიც საჭიროებს თანხმობას:

„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანებას " შეუძლია მხოლოდ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის და საჭიროების შემთხვევაში; სხვა შესაბამისი ორგანოების თანხმობთ, განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

ა) უძრავი ქონების შეძენა-დატვირთვა;

ბ) სესხის აღება;

გ) თავდებობა;

დ)სხვა გადაწყვეტილებები „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანების " ქონებასთან დაკავშირებით, რომლებიც სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

მუხლი 6. საქმიანობის კონტროლი

გაერთიანების მიერ განხორციელებულ საქმიანობის კანონიერებასა და მისი საფინანსო ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას და კონტროლს ახორციელებს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის ან/და აუდიტორის მეშვეობით ან/და ამ საქმიანობისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა დაწესებულების ან პირების მეშვეობით.

მუხლი 7. ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია

1. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანების რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებითა და საკრებულოს თანხმობით.

2. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანების ლიკვიდაცია ხორციელდება მიზნის მიღწევის შედეგად, სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე, გაკოტრებისას და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

3. ლიკვიდაციის დროს უნდა დასრულდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები და დარჩენილი ქონება განაწილდეს კანონით დადგენილი წესით.

4. დამფუძნებლის გადაწყვეტილება ლიკვიდაციის და რეორგანიზაციის პროცესის შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის და რეორგანიზაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე წესდება ძალაში შედის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის მიერ წესდების დამტკიცების შესახებ ბრძანების და საკრებულოს თანხმობის შესაბამისი განკარგულების ამოქმედებიდან;
2.თუ ამ წესდების (დამფუძნებლის შეთანხმების) რომელიმე დებულება ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე;
3. წესდებაში ცვლილების და/ან დამატების შეტანა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.